



ა(ა)იკ-გორის სასწავლო უნივერსიტეტი

Non profit legal entity-Gori Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-09

გორი

27 01 2012წ.

„სსიკ-გორის სასწავლო უნივერსიტეტში სრული პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 07 დეკემბრის N09-190 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის N213/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გორის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, რექტორის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსისა და იურისტის (24.01.2012. N139-გ) ერთობლივი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

და ა დ გ ი ნ ა:

1. „სსიკ-გორის სასწავლო უნივერსიტეტში სრული პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 07 დეკემბრის N09-190 დადგენილების მე-3 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დოკუმენტაციის წარმოდგენა დაიწყოს 2012 წლის 09 იანვარს და დამთავრდეს 2012 წლის 23 იანვარს 17 საათზე, ხოლო კონკურსი ჩატარდეს 2012 წლის 31 იანვარს.“

2. კანცელარიის გამგემ უზრუნველყოს ამ დადგენილების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა;

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი

გიორგი სოსიაშვილი